საკანონმდებლო მაცნე

მარტი 2023
[NO.3] www.bdo.ge

ცვლილება კანონში

შინაარსი

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზება
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერა
- უძრავი ნივთის მიწოდების ოპერაციაზე დღგ-ის თანხის კორექტირება
- ცვლილებები საპენსიო სააგენტოს სქემაში მონაწილეობასთან დაკავშირებით
- შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურების ცვლილება

სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზება

2023 წლის 24 თებერვალს გამოქვეყნებული საქართველოს კანონით ცვლილება შევიდა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილების შედეგად, 2024 წლის 1 ივნისიდან სისტემურ-ელექტრონული (ონლაინ) ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისთვის შესაბამისი დამოუკიდებელი ნებართვები ჩამოყალიბდა, კერძოდ:

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვა.
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვა.
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა.

მოგეხსენებათ, თამაშობების ონლაინ მოწყობა ცალკე ნებართვას არ საჭიროებდა და მათი გამართვის უფლება ჰქონდა სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის და ტოტალიზატორის ნებართვის მქონე მომწყობ პირებს.

აღნიშნულ კანონთან ერთად ცვლილებები შევიდა საქართველოს სხვადასხვა კანონში, რომელთაგან ერთ-ერთია საქართველოს საგადასახადო კოდექსი. სსკ-ში ცვლილება შეეხო სწორედ იმ ნაწილებს, რომლებშიც განსაზღვრულია დაბეგვრის მიდგომები სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული/მომგებიანი თამაშობების მომწყობი პირებისთვის. ცვლილების თანახმად, 2024 წლის 1 ივნისიდან ყველა არსებული დაბეგვრის წესი უცვლელად გავრცელდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორ პირებზე, ნაცვლად მომწყობი პირებისა. ეს განპირობებულია იმით, რომ ონლაინ თამაშობების ორგანიზება ამიერიდან ცალკე სანებართვო საქმიანობაა, რომელმაც ჩაანაცვლა ამ თამაშობების მომწყობი პირების საქმიანობა.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 ივნისიდან.

ცვლილება ბრძანებაში

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერა

2023 წლის 27 თებერვალს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 24 თებერვლის ბრძანება №55, რომლითაც ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში.

ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბრძანების 33-ე მუხლს, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოსაწერად წარსადგენი განცხადების შესახებ, დაემატა მე-7 ნაწილი. ახალი ნაწილი გადასახადის გადამხდელს უდგენს ვალდებულებას „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დადასტურების შესახებ“ განცხადების წარდგენამდე, ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი საქონელი გამოაცალკევოს ვარგისი საქონლისგან. ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მარაგების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება ვერ განხორციელდება.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 28 თებერვლიდან.

უძრავი ნივთის მიწოდების ოპერაციაზე დღგ-ის თანხის კორექტირება

2023 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №34, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 73^3 მუხლს, რომელიც არეგულირებს დღგ-ის თანხის კორექტირების წესებს. ცვლილების თანახმად, აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების შემთხვევებს, დაემატა ახალი „დ“ ქვეპუნქტი. ცვლილების მიხედვით, განისაზღვრა კორექტირებული ოპერაციის დეკლარირების განსხვავებული წესი იმ პირებისთვის, რომლებიც უძრავი ნივთის მიწოდების საფუძველზე სავალდებულო წესით დაარეგისტრირა საგადასახადო ორგანომ დღგ-ის გადამხდელებად შემოწმების შედეგად.

კერძოდ, თუ დადგა კორექტირების გარემოება ზემოთ აღნიშნული პირებისთვის, რამაც გამოიწვია დასაბეგრი თანხის შემცირება, გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს ახალი ფორმით დადგენილი დეკლარაცია, დასახელებით „დეკლარაცია უძრავი ნივთის მიწოდების დღგ-ით დასაბეგრი თანხის კორექტირების თაობაზე, რომელზეც დღგ დარიცხულია საგადასახადო შემოწმების შედეგად“. აღნიშნული დეკლარაციით მოთხოვნილი დღგ-ით დასაბეგრი თანხის კორექტირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანო, დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან ორი თვის ვადაში.

დღგ-ით დასაბეგრი თანხა დაკორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. დღგ-ის თანხის კორექტირებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება ეგზავნება გადასახადის გადამხდელს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოება დადგება საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობისას, შემოწმებით მოცულ საანგარიშო პერიოდში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა დაკორექტირდება საგადასახადო ორგანოს მიერ და გადასახადის გადამხდელს არ მოუწევს აღნიშნული დეკლარაციის წარდგენა.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 7 თებერვლიდან.

ცვლილებები საპენსიო სააგენტოს სქემაში მონაწილეობასთან დაკავშირებით

2023 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001 და ბრძანება №003. ესაა ბრძანებები „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესისა“ და „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების“ შესახებ. აღნიშნული ბრძანებები ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით და ძალადაკარგულად გამოცხადდა იგივე ბრძანებების წინა ვერსიები. წარმოგიდგენთ განახლებული რედაქციის თანახმად განხორციელებულ ზოგიერთ ცვლილებას:

- დასაქმებულს ცვლილების თანახმად შეუძლია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით ამ წესის შესაბამისად მიმართოს საპენსიო სააგენტოს ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს: ცნობა საპენსიო სქემაში მონაწილეობის სტატუსის შესახებ; ცნობა საპენსიო სქემიდან გასვლის უფლების / სტატუსის შესახებ.
- საპენსიო სქემის დატოვების შემდეგ, ხელახლა გაწევრიანების შემთხვევაში, დასაქმებული ვერ შეძლებს კვლავ დატოვოს საპენსიო სქემა.
- იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო სააგენტო დაადგენს, რომ მას ნაკლებობით აქვს გადახდილი პენსია ან საპენსიო აქტივები პენსიის მიმღებისათვის ან/და გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისთვის, სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ოდენობის თანხის დამატებას შესაბამის პენსიაზე/საპენსიო აქტივზე, არანაკლებ ასეთი შეუსაბამობის აღმოჩენიდან 30 სამუშაო დღის ვადისა.
- ასევე, ბრძანება №003-ს დაემატა ახალი 28-ე და 29-ე მუხლები, რომლებიც ეხება საპენსიო სააგენტოს მხრიდან მომხმარებლებთან კომუნიკაციას და მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

ბრძანებები ძალაშია 2023 წლის 1 მარტიდან.

ცვლილება დადგენილებაში

შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურების ცვლილება

2023 წლის 31 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 იანვრის დადგენილება №43, რომლითაც ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში.

ცვლილების თანახმად, განისაზღვრა შემოსავლების სამსახურის მიერ გასაწევი იმ მომსახურებების საფასურები, რომლით სარგებლობა ცვლილებამდე უფასო განცხადების წარდგენით იყო ხელმისაწვდომი. ასევე, გაიზარდა ზოგიერთი მომსახურების საფასურები და დადგინდა საფასურისგან გათავისუფლების შემთხვევები მათთვის, ვინც ელექტრონულად მოახდენს მიმართვას.
აღნიშნული ცვლილება ემსახურება შემოსავლების სამსახურში განცხადებების ელექტრონული ფორმით წარდგენისა და დისტანციური სერვისებით სარგებლობის წახალისებას, იქიდან გამომდინარე, რომ სერვისების ელექტრონული ფორმით გამოყენება საშუალებას აძლევს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მქონე პირს, მაქსიმალურად მარტივად და მოქნილად ისარგებლოს სასურველი სერვისით.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 20 თებერვლიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს კანონში, ბრძანებასა და დადგენილებაში.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.